პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

19 მაისი კვირა 1974 წელი 2. კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 115 (15936)

ეროვნული ბიბლიოთეკა



დღეს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინ, სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოგმართავთ თქვენ, ამხანაგო ამომრჩევლებო, — მუშებო, კოლმეურნეებო, საბჭოთა ინტელიგენციავ. ჩვენი პარტიის კოლიტიკა — ეს არის კოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს სოციალისტური ინდუსტრიის განუხრელ ზრდას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განუხრელ აღმავლობას, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებას. კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიცემით თქვენ ხმას მისცემთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური ძლიერების შემდგომ განმტკიცებას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა ამომრჩევლისადმი, მოქალაქისადმი.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოში

1974 წლის 20 აპრილს გაიმართა სრულიად საკავშირო კომუნისტური შაბათობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 138 მილიონზე მეტმა კაცმა. საბჭოთა ადამიანები ამ დღეს თავდადებით შრომობდნენ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, აგრეთვე ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობაში. წინასწარი მონაცემებით შაბათობაზე მთლიანად გამომუშავებულია და ხუთწლედის ფონდში შეტანილია 200 მილიონ მანეთზე მეტი. წარმოებულია 683 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

სრულიად საკავშირო შაბათობამ, რომელიც შეესანიშნავ ტრადიციად, თავისუფალი შრომის დღესასწაულად გადაიქცა, საბჭოთა ხალხის მაღალი შეგნებისა და პატრიოტიზმის, ლენინის ანდერძისადმი მისი ურყევი ერთგულების, კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ შეკავშირების მკაფიო დემონსტრაცია იყო, ცხადყო მშრომელთა მტკიცე გადაწყვეტილება განახორციელონ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, უზრუნველყონ 1974 წლის გეგმის ვადამდე, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო პროფსაბჭო გულთბილ მადლობას უძღვნიან მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, შრომის ვეტერანებს, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრებს, მოსწავლეებს — ყველას, ვინც მონაწილეობდა კომუნისტურ შაბათობაში.

შაბათობის შედეგად მიღებული სახსრები მოხმარდება დედათა და ბავშვთა დაცვის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებს და საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა კომპლექსების შენებლობის გაფართოებას, რათა სახალხო მეურნეობისათვის მეტი მოვამზადოთ მაღალი კვალიფიკაციის მუშები.

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

საყოველთაო სახალხო შრომის დღესასწაულმა — კომუნისტურმა შაბათობამ, რომელიც 20 აპრილს გაიმართა, დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა. 138 მილიონზე მეტი კაცი — ოთხი მილიონით მეტი, ვიდრე შარშან, — თავდადებით და უანგაროდ შრომობდა თაღის სამუშაო ადგილას — ქარხნებში და მშენებლობებზე, მინდვრებსა და ფერმებში, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოებში, ქალაქების, დაბებისა და სოფლების კეთილმოწყობაზე, რითაც ცხადყვეს ლენინის ანდერძისადმი მტკიცე ერთგულება, მჭიდრო შეკავშირება საბჭოთა კავშირს კომუნისტური პარტიის გარშემო, თავიანთი მტკიცე გადაწყვეტილება — განახორციელონ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი და მეცხრე ხუთწლედის დაველანი. შაბათობის დღეს განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა საბჭოთა ადამიანების კომუნისტური ხასიათის ის ნიშნები, რომლებსაც, როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა ალმა-ათაში ყაზახური ათენისების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, უდიდესი მატერიალური ძალა აქვთ, რომლებიც განსახიერდა ჩვენი დიადი სამშობლოს მზარდ ძლიერებასა და დოვლათში. საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის აღმავლობაში, ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში.

ლ. ი. ლენინმა მაოალი შეთანხმება მისცა კომუნისტური შაბათობების მნიშვნელობას. გაბედნიერდა დაინახა, რომ ეს არის „ნამდვილი კომუნიზმის ელემენტები“, „უაღრესად დიდი მნიშვნელობის თაობაზე“, ლ. ი. ლენინის აზრით, შაბათობები არის საბჭოთა ეკონომიკაში ნებაყოფლობითი თანსწორი — განაგებითარნი შრომის ნაყოფიერება, გადაგიფენენ ახალ შრომის დისციპლინაზე, შიქმნან მეურნეობისა და ცხოვრების სოციალისტური ბერბები.

ათწლეულების მანძილზე შაბათობები ჩვენი ცხოვრების ნაწილი გახდა. ყოველთვის, როცა „წითელ შაბათობაზე“ სამუშაოდ მიდიან, საბჭოთა ადამიანები სიმაღლით იგონებენ ჩვენი სახელმწიფოს შექმნისა და განვითარების გზას, და მთავარ ყურადღებას აქცევენ ძირითად ამოცანებს, ეიმას, რაც ჯერ კიდევ გასაკეთებელია.

წლევანდელი „წითელი შაბათობის“ ინიციატორები იყვნენ მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივები. მათ მოუწოდეს ქვეყნის ყველა მშრომელს, მონაწილეობა მიეღოთ. ვ. ი. ლენინის დაბადების 104-ე წლისთავისადმი მიძღვნილ შაბათობაში, ამ დღეს გამოეშვათ რაც შეიძლება მეტი პროდუქცია, ხოლო მთელი გამომუშავებული სახსრები გადაერიცხათ მეცხრე ხუთწლედის ფონდში. მათს მოწოდებას გამოეხმაურნენ ყველა მოძმე რესპუბლიკის მშრომელები. მაგალითად, რუსეთის სფსრ რესპუბლიკაში კომუნისტურ შაბათობაში მონაწილეობდა 74 მილიონზე მეტი კაცი, უკრაინაში — თითქმის 29 მილიონი, ბელორუსიაში — 5 მილიონი, უზბეკეთში — თითქმის 6 მილიონი, ყაზახეთში — 7 მილიონამდე კაცი.

შაბათობის მონაწილეთა უმრავლესობა, ისევე როგორც წინა წლებში, მუშაობდა თავის სამუშაო ადგილას. ამ დღეს მრეწველობაში მუშაობდა 30,4 მილიონი კაცი, მშენებლობაზე — 8,4 მილიონი, ტრანსპორტზე — 7,1 მილიონი, სოფლის მეურნეობაში — 23,7 მილიონი კაცი. ათეულ მილიონობით ადამიანი მუშაობდა ქვეყნის ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობაზე.

სრულიად საკავშირო კომუნისტურმა შაბათობამ ყველგან მაღალი ორგანიზებულობის ატმოსფეროში ჩაიარა. მისმა მონაწილეებმა არსებითი წვლილი შეიტანეს 1974 წლის. ხუთწლედის განსაზღვრული წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ადრამდე შესრულებას საქმეში. 1974 წლის 20 აპრილს მიღწეული შედეგები აღემატება წინა შაბათობების მაჩვენებლებს. საწარმოებმა. სადაც წარმოების წყვეტილი პროცესია, გამოუშვეს 683 მილიონი მანეთის მარტო სამრეწველო პროდუქცია, ეს 41 მილიონი მანეთით აღემატება იმ პროდუქციას, რომელიც გამოუშვეს შარშანდელი შაბათობის დღეს.

20 აპრილს ამოიღეს 1,4 მილიონი ტონა ქვანახშირი, გამოუშვეს 3,9 ათასი ავტომობილი, მათ შორის 2,1 ათასი მსუბუქი ავტომობილი, 1,1 ათასი ტრაქტორი, 378 ლითონსაჭრელი ჩარხი, 45,8 ათასი ავტოსახურავი, 200 ათას კუბურ მეტრზე მეტი ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები. გამომუშავებულია დიდძალი სახალხო მოხმარების საქონელი. მათ შორის ცხრა მილიონ მეტრზე მეტი ქსოვილები, სამი მილიონი ცალი ტრიკოტაჟის საცვალი და ზედა ტრიკოტაჟი, მილიონ-ნახევარი წყვილი ტყავის ფეხსაცმელი, 16 ათასი ტონა ხორცი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან), 14 მილიონი პრიმბოითი ქილა კონსერვი, 16 ათასი ტელევიზორი, 13,5 ათასი მაცივარი, 8,5 მილიონი მანეთის ავეჯი და ბევრი სხვა სახეობის პროდუქცია.

კომუნისტური შაბათობის დღე ბევრ საწარმოსა და ორგანიზაციაში აღინიშნა მაღალი შრომითი მიღწევებით. ბევრმა მუშამ და მოსამსახურემ დიდი გადაჭარბებით შეასრულა დადგენილი ნორმები და დავალებანი, მიაღწია მაღალ საწარმოო შედეგებს. მთელ რიგ საწარმოებში მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის წარმოების საშუალო დღიური ნორმა. მაღალი შედეგები ცხადყვეს, კერძოდ, მოსკოვის ს. მ. კიროვის სახელობის ელექტრომონაცვლეთა ქარხანა „დინამოს“, მინსკის ტრაქტორსაშენებლო საწარმოო გაერთიანებისა და ბევრი სხვა ქარხნისა და ფაბრიკის კოლექტივებმა.

შაბათობის დღეს დარიცხული სახსრები „წითელი შაბათობის“ მონაწილეთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით გადარიცხულია ხუთწლედის ფონდში სსრ კავშირის სახმინაზის სპეციალურ ანგარიშზე. და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით მოხმარდება დედათა და ბავშვთა დაცვის შემდგომ გაუმჯობესებას და საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა კომპლექსების შენებლობის გაფართოებას, რათა სახალხო მეურნეობისათვის მეტი მოვამზადოთ მაღალი კვალიფიკაციის მუშები.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲝ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ XVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო მთურვალედ მიესალმებიან საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის XVII ყრილობის დელეგატებს და მათი სახით რესპუბლიკის ყველა კოოპერატორს.

კოოპერაციის განვითარებას ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაშია აღნიშნული, „კიდევ უფრო იზრდება მისი მნიშვნელობა კომუნიზმის გამლილი მშენებლობის პერიოდში.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა შეუნელებელ ყურადღებას უთმობენ სამომხმარებლო კოოპერაციის განვითარებას, რომელიც დიდ როლს ასრულებს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური და კულტურული პირობების გაუმჯობესებაში, ქალაქსა და სოფლებს შორის განსხვავების მოსპობის საქმეში.

ჩვენს ქვეყანაში სამომხმარებლო კოოპერაცია ახორციელებს არამარტო სამეურნეო, არამედ უმნიშვნელოვანეს სოციალურ ფუნქციებსაც. სოფლის მილიონობით მშრომელისათვის იგი ხაზოგადოებრივი თვითმმართველობის სკოლაა.

ამჟამად, როცა ჩვენს ქვეყანაში მთელი საბჭოთა ხალხის პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ხორციელდება სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი და მეცხრე ხუთწლედით დასახული სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, მოსახლეობის მომსახურების მკვეთრი გაუმჯობესების გრანდიოზული ამოცანები, იზრდება სამომხმარებლო კოოპერაციის, როგორც სოფლად ძირითადი სავაჭრო ორგანიზაციის როლი.

საქართველოს კოოპერატორთა წინაშე დასახული ამოცანები განსაკუთრებით იზრდება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა თვალსაზრისით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ პარტიისა და მთავრობის ამ დადგენილების წარმატებით შესრულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სამომხმარებლო კოოპერაციის მრავალათასიანი კოლექტივის საქმიანობის შედეგებზეც. საქართველოს კოოპერატორებმა, საწარმოო-ტექნიკურ სასწავლებელთა კომპლექსების შენებლობის ყველა მიმართულებაზე.

ყრილობის დელეგატთა შორის ბევრია სახელგანთქმული სოფლის მშრომელი, სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენელი, პარტიული, საბჭოთა, კოოპერაციული, პროფკავშირული მუშაკი. მათ შორის არიან ავრეთვე ხალხის მაღალი ნდობით აღჭურვილნი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები.

საქართველოს კოოპერატორთა წინა ყრილობის შემდეგ განვლილი პერიოდი. იყო სკკპ XXIV ყრილობის იმ ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების პერიოდი. რომლებმაც განსაზღვრეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური, სოციალური და კულტურული მშენებლობის მძლავრი აღმავლობის შემდგომი ამოცანები.

მთელი რესპუბლიკის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ. დადგენილებაში აღნიშნულია საქართველოს სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგების მუშაობაში, მათ შორის რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობაში ნაკლოვანებათა ღრმოფხვრასაკენ, მშრომელთა ფართო ფენებში მეტ ინიციატივის, სამომხმარებლო კოოპერაციის ყველა მუშაკი ყველი ღონისძიებით უნდა ეხმარებოდეს ცენტრალური სისტემის ორგანიზაციათა მუშაობას, ზრუნავდეს მოსახლეობის ნაყოფიერებას, უფრო თხელდებოდეს საზოგადოებრივ და კოოპერაციულ საოფრებს.

ყრილობის პრეზიდიუმში მუშაობენ ამხანაგები ვ. ალექსეევი, შ. ალიანიძე, ზ. პატარიძე, ე. შეკარიშვილი, ა. ჩოჩიანი, გ. ჭავჭავაძე, თ. ბოსაშვილი, შ. ყარყარაშვილი. ცენტროსოიუზის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე ა. ალიშინი, საქართველოს სსრ მინისტრები, რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა XVII ყრილობის დელეგატები.

საანგარიშო მოხსენება ყრილობაზე გააკეთა ცენტრალური ბიუროს თავმჯდომარემ ა. შალიკაშვილმა.

სარეგლამენტო კომისიის მოხსენება წაიკითხა მისმა თავმჯდომარემ ბ. ბამიეაშვილმა.

ყრილობამ მოისმინა და დაამტკიცა სამანდატო კომისიის ანგარიში (მოახსენებელი — კომისიის თავმჯდომარე ს. ხასაშვილი).

მოხსენებათა და გამართული ერთობლივ მონაწილეობდნენ ათასზეთოს კოოპერაციის ... ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

დადასტურდა ყრილობის შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ... ანგარიში;
2. საქართველოს კომისიის ანგარიში;
3. სამომხმარებლო კოოპერაციის საბჭოს, ცენტრალური ... ...

თბილისის პარტიული აქტივის კრება

17 მაისს გაიმართა ქალაქ თბილისის პარტიული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის დადგენილების შესრულების საქმეში. როგორც ცნობილია, ამ პლენუმმა განიხილა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები „საქართველოს სსრ სახლხო მეურნეობის შიმოგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულებაში, ოთმა-ათაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვის შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციაში.

კრებას საპატიო პრეზიდიუმში ერთსულოვნად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ვ. ბელაშვილმა.

მოხსენების ბოლოს ამ ამორთულ კამაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის საქალაქო კომიტეტის მდივანი ლ. ი. ბეგლარიანი, თბილისის ბრეჟნევის საწარმოო გაერთიანების პარტიული კომიტეტის მდივანი ლ. ვ. ვიბლიანი, ციოლეის საბელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მთავარი კონსტრუქტორი, საწარმოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე ი. ბ. კოტლიარენკო, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს პარტკომის მდივანი ჯ. ტ. ბედოკაძე, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის ხარატი შ. ა. ჯოხაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის მდივანი ჯ. ს. შოგარიანი, ქალაქ-მაუთის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი რ. შ. კოპრავა, „საქსახპროექტის“ ინსტიტუტის დირექტორი ა. ი. ჩხეტია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. ა. ჭეშინავი, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის მმართველი ბ. ტ. გოგოლაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიონალიზმი, ეკონომიკური განათლების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დ. ვ. ოთაოვი.

განხილულ საკითხზე კრებამ მიიღო რეზოლუცია.

კრების მონაწილეებმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი, რომელშიც საქართველოს დედაქალაქის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით დიდ მადლობას უღიენან პარტიასა და მთავრობას საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომ დაჩქარებულ განვითარებაზე ზრუნვისათვის და აღუთქვამენ, რომ მეტი ენერგიით გამლიან ბრძოლას ხუთწლედის ადრევადა ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სარეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგე ბ. ზ. ბარსუკოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუნიციპალური და ქალების მრეწველობის განყოფილების გამგე რ. ხ. კოტლიარი. (საქინფორმი).

სამეცნიერო სესია

ქუთაისი. ციბისქირის სასოფლო საბჭოს აქტივისათვის მოეწყო გამსვლელი სამეცნიერო სესია თემაზე: „მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია და თანამედროვეობა“.

ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. ნიკოლაიშვილმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. ფუტკაძემ და ბათუმის პედინსტიტუტის უფროსმა მასწავლებელმა კ. ბოლქვაძემ წაიკითხეს ლექციები: „ბუნება და საზოგადოება“, „თანამედროვე ეპოქის ხასიათი და ძირითადი შინაარსი“, „მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიისა და სოციოლოგიის პრობლემები სკკპ XXIV კონგრესის გადაწყვეტილებათა შუქზე“.

ვ. გორგილაძე.

მიეძღვნა მეგობრობას

გარდაბანი. აქ გაიმართა საშეცნიერო-თეორიული კონფერენცია თემაზე: „საქართველოს სსრ — სსრ კავშირის ერთიან ოჯახში“.

მოსმენილ იქნა მოხსენებები: პროფესორმა გ. ბერეკაძისა — „საბჭოთა აღმოსავლეთის საერთო ეროვნული სიამაყის შესახებ“. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის კ. ტატარაშვილისა — „სსრ კავშირი მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების ბურჯი“, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ფ. სიხარულიძისა — „ქართველი და რუსი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან“, ეკონომისტ ბ. პეტროზნისა — „საქართველო დიდ სამამულო ომში“.

ბ. ჯანგიძე.

თემატური საღამო

ციხისძირა. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა სამმართველოში მოეწყო თემატური საღამო, მიძღვნილი „შრომის დიდების“ ორდენისა და „შრომის ვეტერანის“ მედლის დაარსებასთან დაკავშირებით.

მოხსენება — „შრომის დიდების“ ორდენისა და „შრომის ვეტერანის“ მედლის დაარსება დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური აქციაა“ — წაიკითხა ლექტორმა შ. ჩაჩანიძემ. თემაზე „ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა სამმართველო გუშინ, დღეს, ხვალ“ — ისაუბრა ამ საწარმოს დირექტორმა, ამიერკავკასიაში სტახანოვური ნოძრაობის პიონერმა ვასილ სამხარაძემ. პარტიული კომიტეტის მდივნის პ. ფალავანდიშვილის მოხსენების თემა იყო „ყველა შენი წარმოების პატრონტი“.

შ. კაკაბაძე.

ბათუმური ელექტროტრანსპორტი ეკავშირის ახლაბინ ხაწარმოს ეგზავნება. მათ წარმატებით ყიდულობენ საზღვარგარეთელი შეძკვეთები.

სურათებზე: ზემოთ — მოწინავე ხარატები ზ. გოგუა (მარჯვნივ) და მისი ყოფილი მოწინაე ბ. კაკაბაძე, ქვემოთ ბათუმური ელექტროტრანსპორტი.

ნ. ანასტასიევის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ნადირობის წესების დარღვევის, სახელმწიფოსათვის ძვირფასბეწვიანი ტყავის სავალდებულო ჩაბარებისაგან თავის არიდების, მისი უკანონო შესყიდვის, გაყიდვის, გაცვლისა და გადამუშავების გამო პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

ნადირობის წესების დარღვევის, სახელმწიფოსათვის ძვირფასბეწვიანი ტყავის სავალდებულო ჩაბარებისაგან თავის არიდების, მისი უკანონო შესყიდვის, გაყიდვის, გაცვლისა თუ გადამუშავების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს, რომ ნადირობა სათანადო ნებართვის გარეშე აკრძალულ ადგილებში ან აკრძალულ ვადებში, აკრძალული იარაღით თუ საშუალებით, როცა ეს ქმედობა თავისი ხასიათით არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, ისჯება ადმინისტრაციული წესით ჯარიმით 50 მანეთამდე, ნანადირევის, თოფისა და სხვა სანადირო საშუალებების კონფისკაციით.

დაჯარიმებას, ნანადირევის, თოფისა და სხვა სანადირო საშუალებების ჩამორთმევის ამდენენ ნადირობის წესების დაცვის სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები.

2. დაწესდეს, რომ ნადირობით მოპოვებული ძვირფასბეწვიანი სახეობის ნადირის ტყავის სახელმწიფოსათვის ჩაბარებისაგან თავის არიდება, აკრეფვა ჩამოუყალიბებელი, მაგრამ სახელმწიფო დამფალდაუსმელი (ტამამდაუსმელი) ისეთი უკანონო შესყიდვა, გაყიდვა, გაცვლა და გადამუშავება, თუ ეს ჩადენილია პირველად, —

ისჯება ადმინისტრაციული წესით ჯარიმით 50 მანეთამდე და ტყავის კონფისკაციით.

მასალის ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევის შესახებ განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ადმინისტრაციული კომისია.

ნესსხეს ნადირობის დროს მოპოვებული ძვირფასბეწვიანი ნადირის ან სახეობებისა, რომელთა ტყავის სახელმწიფოსათვის ჩაბარება სავალდებულოა, აკრეფილ ჩამორთმეული თოფების, სხვა სანადირო საშუალებების და ტყავის რეალიზაციის წესს ადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

3. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს 177-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 177. უკანონო ნადირობა.

ნადირობა სათანადო ნებართვის გარეშე ან აკრძალულ ადგილებში ან აკრძალულ ვადებში, აკრძალული იარაღით თუ საშუალებებით, როცა ეს ქმედობა ჩადენილია ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების შემდეგ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ორას მანეთამდე, ტყავის კონფისკაციით“.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ნადირობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 11 მარტის ბრძანებულება („საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1964 წ., № 8, მუხ. 151) და „ნადირობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 11 მარტის ბრძანებულებაში (ცხლეულის შეტანილ თარაბაში“. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 20 ნოემბრის ბრძანებულება („საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1972 წ. № 11, მუხ. 225).

6. ეს ბრძანებულება ძალაში შედის 1974 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კაკაბაძე

თბილისი, 1974 წლის 15 მაისი.

... ეკავშირის

... ეკავშირის უმაღლესი საბჭოს ... ბრძანების დღეა

... ეკავშირის ... ეკავშირის ... ეკავშირის

ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღე

სიხარული და იმედი

19 მაისი ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის დაბადების დღეა. მთელი ჩვენი ქვეყანა მუდამ დიდი სიყვარულით აღნიშნავს პატარების ამ დღესასწაულს. სხვანაირად არც შეიძლება იყოს, რადგან ჩვენი ქვეყნის მრავალი თაობა სწორედ პიონერთა ორგანიზაციის რიგებში აღიზარდა, მილიონობით საბჭოთა ადამიანი პირველად აქ ეზიარა ლენინურ თვისებებს, აქ შეისისხლხორცა ისინი, აქ მიიღო პირველი შრომითი წრთობა, პოლიტიკური აქტივობის პირველი ჩვენები.

საბჭოთა პიონერიის წლევანდელი დღესასწაული ორმაგად საზეიმოა, რადგან პატარები თავიანთი ორგანიზაციის დაბადების დღესთან ერთად ამ ორგანიზაციისათვის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელის მინიჭების 50 წლისთავსაც აღნიშნავენ.

1924 წლის 23 მაისს მოსკოვში, წითელ მოედანზე შეიკრიბნენ დედაქალაქის პირველი პიონერული რაზმები. აქ, კრემლის კედელთან პიონერულმა ორგანიზაციამ პირველად მიიღო დიდი ლენინის სახელი. პატარებმა ფიცი დადეს, რომ სასახელოდ აგარაკენ ამ სახელს და ლენინს ანდერძის ერთგულები იქნებიან მარად.

იმ დღეებში კრემლში მუშაობდა კომუნისტური პარტიის XIII ყრილობა. ყრილობის დელეგატები შეხვედნენ წითელ მოედანზე შეკრებილ პიონერებს და მიულოცეს ეს ღირსსახსოვარი დღე.

ნახევარი საუკუნეა რაც საკავშირო პიონერული ორგანიზაცია დიდი ლენინის სახელს ატარებს, უწმინდესად აღრთვამს მის ანდერძს, ღირსეულად უპირველ პიონერული წითელი დროშა, რომელზეც ორი ლენინის ორდენი ბრწყინავს. ეს ორდენები დაიდვენ იმ სახელოვან გზაზე, პიონერთა ორგანიზაციამ ლენინური კომკავშირის წინამძღოლობით, კომუნისტური პარტიის ყოველდღიური მამრობითი მზრუნველობით რომ განვლო.

პიონერები დაუდეგარი, მოუსვენარი ხალხია, მათ მუდამ ახლოს მიაქვთ გულთან სამშობლოს სიხარული და სატკივარიც, წარმატებებიც და ნაკლოვანებებიც, არ შეუძლიათ გულგრილნი იყონ საერთო საქმისადმი, სხვათა ჭირ-ვარამისადმი; უყვართ თაოსნობა, ახალ-ახალი საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმეების წამოწყება.

პიონერებს მუდამ შეაქონდათ და შეაქვთ თავიანთი წვლილი ჩვენი ქვეყნის დიად გარდაქმნებში, არ ყოფილა ჩვენს ქვეყანაში რაიმე მნიშვნელოვანი კამპანია, მოძრაობა, თაოსნობა, დიად მშენებლობათა დამკვრელური უბნები, სადაც პიონერებს თავიანთი სატყვა არ ეთქვათ, თავიანთი წვლილი არ შეეტანოთ საერთო საქმეში. გადაშლილან ძველი გაზეთების გაყვითლებული ფურცლები და მათ სასახელო საქმეებს იქ ამოიკითხავთ.

20-იანი წლები: პიონერები ეხმარებიან უფროსებს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში, ქანიან აგიტბრიგადებს, დრამწრეებს, მოგზაურობენ სოფლად, გლეხებისათვის მართავენ საღამო-წარმოდგენებს.

30-იანი წლები: პიონერები აქტიურად მონაწილეობენ კოლექტიური მეურნეობების შექმნაში და განმტკიცებაში. ამხილებენ კულაკების შავბნელ საქმიანობას. ამ ბრძოლაში მტრის ხელით დაიღუპა რაზმის საბჭოს თავმჯდომარე პავლიკ მოროზოვი, რომლის სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერა პიონერთა ორგანიზაციის მატიანეში.

40-იანი წლებიk მოსალოდნელი ომის საშიშროებას გრძნობენ პიონერებიც. ისინი ეუფლებიან სამხედრო საქმეს. სწავლობენ ტრაქტორისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების მართვას, რომ საჭიროების შემთხვევაში შეცვალონ უფროსები და თვითონ მიუჯდნენ საჭეს. ომის დროს სწავლისაგან თავისუფალ დროს ეხმარებიან უფროსებს საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში, ფაბრიკა-ქარხნებში, აგროვებენ სახსრებს ტანკებისა და თვითმფრინავების ასაგებად, შეფობენ ჰოსპიტალებს, მზრუნველობას უწევენ დაჭრილებს, საჩუქრებს უგზავნიან ფრონტელებს. მრავალი პიონერი იბრძოდა ფრონტზე, პარტიზანულ რაზმებში, ბევრმა მათგანმა დაიმსახურა ორდენები და მედლები, ხუთ მათგანს კი მინიჭებული აქვს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ომის შემდგომი წლებიდან დღეგანლოდამდე პიონერთა სასახელო საქმეებს ვინ მითვლის! ნორჩ ლენინელთა მიერ შეგროვებული ჯართი და მაკულატურა — ეს არის ახალი ტრაქტორები და ავტომანქანები, გაჩეხვას გადარჩენილი ტყის მასივები და ახალი წიგნები და რვეულები. საზაფხულო არდადეგების დროს პიონერები მუდამ პოულობენ დროს ჩაიც კრიფონ და ფერმებშიც გაუწიონ შეფობა ახალმოზარდეულს, ბიბლიოთეკები მოუწყონ მწყემსებს და თვითმოქმედების კონცერტები გაუმართონ ფერმის მუშაკებს. თვალს ვერ გაუწვდენ მათ მიერ გაშენებულ ხეივნებსა და ტყის მასივებს, ბაღ-ვენახებსა და თუთის პლანტაციებს. პიონერები ბუნების ქომაგებიც არიან და კულტურის ძეგლებსაც გუშაგობენ.

ამას წინათ კავთისხეველმა პიონერ-მოსწავლეებმა ლაშქრობა გამოაცხადეს კულტურის ძეგლებისა და ისტორიულ-რევოლუციური ადგილების მოვლა-პატრონობისა და დაცვისათვის.

პატრიის კასპის რაიონულ კომიტეტს არ გამოპარვია ეს შესანიშნავი თაოსნობა, მხარი დაუჭირა ამ კარგ წამოწყებას და სპეციალური დადგენილებაც მიიღო.

პატრიის რაიკომის ამ ნაბიჯში პიონერ-მოსწავლეებისადმი მზრუნველობაც ჩანს და კარგ საქმეში მხარდაჭერაც, რაც უთუოდ მისახალმებელია.

როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩვენმა ხალხმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა უწესრიგობას, უდისციპლინობას, უყაირათობას, უკანონობას, პიონერებმაც აღიმაღლეს ხმა არსებული ნაკლოვანებების წინააღმდეგ. თბილისის ქუჩებში გამოვიდნენ პიონერთა საგუშაგოები, რომლებმაც ბევრი უწესრიგობა და უსუფთაობა ამხილეს და სათანადო ორგანიზაციებს აცნობეს. ასეთი საგუშაგოები ახლა რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და სოფლებშიც მოქმედებს.

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ჩვენს სარეგანდაკი ფოსტაში საგრძნობლად იმატა ნაკლოვანებების მამხილებელმა კორესპონდენციებმა. პიონერები უწინ თუ მხოლოდ თავიანთი სკოლის, თავიანთი შინაური საქმეებით იფარგლებოდნენ, ახლა მათი ინტერესები გასცდა სკოლას. უფრო კრიტიკული თვალით უყურებენ მოვლენებს, უფროსების საქმიანობას. რატომ ამხანაგებენ ფასების სოფლის მაღაზიაში? რატომ არ აჩვენებენ სოფლის კლუბში კინოფილმებს? რატომ მუშაობს ფოსტა მოუქნელად? რატომ ფარსდება სკოლის მშენებლობა? მრავალი ასეთი „რატომ“? მოდის ყოველდღე რედაქციაში და გაზეთში განსდა ახალი რუბრიკა: „პატივცემულო უფროსებო, მიაქციეთ ამას ყურადღება!“

შარშან ფოთიდან ბარათი მივიღეთ. ერთ-ერთი სკოლის პიონერი გოგონა გვწერდა, რომ მათ ჩაბოლალობენ ფულერიდან, ამ ამაგზე, თავიანთი ბედნიერ ბავშვობას. ეს კარგად ჩანს ფიცში, რომელიც მათ პიონერთა ორგანიზაციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო შეკრებებზე წარმოთქვეს კრემლის ყრილობათა სასახლეში 1972 წლის 18 მაისს.

— მზადა ვართ პარტიის გზით ვ

ორა მარტო ზღვა და შავი ყავა...

ზეიმი იყო აჭარაში. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დროშაზე ლენინის ორდენისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენის გვერდით აკიაფდა საძმობლოს ერთ-ერთი საპატიო ჯილდო — ხალხთა მეგობრობის ორდენი.

საზეიმო სხდომაზე ბევრი კარგი სიტყვა ითქვა აჭარის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის მისამართით.

წარმატებები მართლაც რომ თვალსაჩინო და საამაყოა, მაგრამ საზეიმო სხდომაზე მარტო წარმატებებზე როდი ლაპარაკობდნენ. მთელი პირდაპირობითა და პრინციპულობით ითქვა პარტიულ, სამეურნეო, იდეოლოგიურ მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, მეცდომებსა და დარღვევებზე, აჭარის მემოქმედებითი ორგანიზაციების დღევანდელ ამოცანებზე. კერძოდ, აღინიშნა, რომ ზოგიერთი წარმატების მიუხედავად, უს ორგანიზაციები ვერ დაანან პარტიის მოთხოვნების დონეზე.

განსაკუთრებით გაესვა ხაზი იმას, რომ უნდა გაუმჯობესდეს ხელმძღვანელობა იმ დარგებისადმი, სადაც იქმნება სულიერი ღირებულებანი, რადგან ეს ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე უსათუოესი და უმნიშვნელოვანესი სფეროა.

თქმა არ უნდა, შემოქმედებითი ორგანიზაციების წინაშე დასახული ამოცანები უაღრესად პასუხსაგებია. აჭარის შემოქმედებითს ორგანიზაციებს ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრელად დიდი მუშაობა მართებთ, მაგრამ მათ სჭირდებათ დახმარება. მხარდაჭერა და, რაც მთავარია, იმ ინდიფერენტიზმის, გულგრილობის დაძლევა, რომელსაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ იჩენენ ეგრეთ წოდებული

წიგნის თარო

ვალერიან მელქაძე — საქართველოს სსრ ეროვნული შემოსავლის კვლევაწარმოების კანონზომიერებანი. წარმოება და განაწილება. თეორიისა და ანალიზის მეთოდოლოგიის საკითხები (მონოგრაფიული გამოკვლევა. რუსულ ენაზე). რედაქტორი ი. ჭეიშვილი, მხატვარი ვ. გიორგობიანი. „საბჭოთა საქართველო".

გრიგოლ ბრეგაძე — მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება პარტიის შესახებ და თანამედროვეობა. რედაქტორი ა. არობელიძე. „საბჭოთა საქართველო".

ივანე ფაიფელაშვილი — ქიზიყი. სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი, რომელშიც მოთხრობილია ძველი (ციხე-ქალაქის, ამჟამად სოციალისტური სოფლების დაარსება-ზრდის, მისი გარემომცველი ქიზიყის წარსულისა და აწმყოს შესახებ. რედაქტორი ზ. ქილაძე, მხატვარი ო. ვარვარიძე. „საბჭოთა საქართველო".

ბიბინა ბაკურაძე — სახალხო უნივერსიტეტები. (ნარკვევები წარმოშობისა და განვითარების ისტორიიდან). შრომის ავტორი მიზნად ისახავს მოგვიკის სახალხო უნივერსიტეტის ისტორიის, ორგანიზაციისა და მეთოდიკის საკითხების ფართო მეცნიერული განზოგადება. რედაქტორი მ. ახობაძე.

სოფლის გზაპაზე. — ფ. ჰეიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პოეტი — დედაქალაქის გუშაგი

ცნობილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ალექსანდრე ბეგაშვილს დაბადების 50 წელი შეუსრულდა.

ჩვენ პატივს ვცემთ ალ. ბეგაშვილის შემოქმედებას, მოგვწონს მისი გულწრფელი პატრიოტული ლირიკა; გული გვიგიხარია აკაკი წერეთლისადმი მძღვნილი მშვენიერი ლექსების ციკლთან; მოწმენი ვართ იმისა, რომ ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობა დიდი ინტერესით კითხულობს მის წიგნებს, მისი ბევრი პატრიოტული და სატრფიალო ლექსი იცის ზეპირად.

ნიჭიერმა პოეტმა მკითხველი ლექსთა ახალი კრებულით გაახარა. მას „სახსოვარი" ჰქვია. მართლაც ძვირფასი სახსოვარია, რომელიც ალ. ბეგაშვილს საშობლოსათვის მიურთმევია! ეს ლექსები პოეტის სულის ანარეკლია. ავტორი ალალ შრომას, პატიოსნებას, თამოლის სიყვარულს ქადაგებს, ვინც ალ. ბეგაშვილს პირადად იცნობს, დაგვეთანხმება, რომ ის მარტო სიტყვით როდი უმღერის ადამიანს საუკეთესო იდეალებს, არამედ საქმით აღძრავს შრომის, ოჯახურობისა და ალალმართლობის მადლითს.

ძნელია აღდგენილად წაიკითხო წიგნის წინასიტყვაობა. პოეტი გულწრფელად ამბობს: „ვეთაყვანები ქართველი ერის სულიერ მამებს — ილიასა და აკაკის, ცხოვრების მიზნად მათი იდეებისა და ideალების ერთგულება და სამსახური დამისახავს და ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი ლექსები ამ ღმერთაკაცთა დანთებულ მარადიულ ცეცხლს წვრილ ნაფოტებად მაინც ვამოადგება."

მაგრამ ამ წერილის მიზანი ა. ბეგაშვილის მხატვრული შემოქმედების განხილვა არ არის. ჩვენ მისი მოღვაწეობის მეორე სფეროს შევეხებით.

ტყეში არ მინდა ხეთა მეფობა,
ვიყო ნამცეცი ხიწვი.
მე სიხარულად ისიც მეყოფა,
დედაენისთვის ვიწვი —

წერს ერთ ლექსში პოეტი. და, მართლაც, ქართული ენის სიწმინდისათვის, წერისა და მეტყველების კულტურისათვის ბრძოლა ალ. ბეგაშვილის ცხოვრების უწმინდესი მიზანი. მწერალს დედაენისათვის ვიკი რომ შესტკივოდეს, აქ უჩვეულო ენთუზიაზმი ჰქონ